

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი N3

ქ. ზუგდიდი

1 თებერვალი 2019 წელი

2019 წლის 1 თებერვალს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა;

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 31 დეპუტატი:** მამუკა წოწერია, ბესიკ ჭეჟია, თამუნა ჯიქია, თაზო ფაცაცია, ეკატერინე კიფაია, დავით გახარია, დაზმირ ძიმცვიშვილი, მიხეილ ჯობავა, ბათლომე შელია, კონსტანტინე კაკავა, ამირან ჩხოლარია, ირუზა კაკავა, ზაზა პროკოპენკო, ოთარ მარშავა, სალომე ფაცაცია, ზაზა ანდრიაძე, მამუკა ყურაშვილი, ჯანსუღ ჯაბუა, გიორგი კუკავა, ზაზა ხუბუა, გოგიტა ზარქუა, დავით ჭაფანძე, არჩილ ბერანძე, გოგი თოდუა, სოსო გოგოხია, ლაშა ესებუა, რამაზ ჯაბუა, ტარიელ გაბულდანი, ირაკლი ჯანაშია, ზვიად ქირია, პაატა ადამია.

**საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა 19 დეპუტატი:** სანდრო სორდია, ირაკლი ლაგვილავა, ოთარ ქადარია, ჯონი ჯიქია, ანა წითლიძე, ედიტა კოდუა, რევაზ თორდია, დავით შელია, ირაკლი ღურწკაია, ზვიად ყორშია, გია დანელია, მანანა მებონია, ზურაბ გოგოძე, მამუკა თოლორაია, პაატა ებრაელიძე, გიორგი თოდუა, გელა თოლორაია, მალხაზ ციკუტანია, თენგიზ ალმასია.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:** მურთაზ ბოკუჩავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილე, თამრიკო ანთია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ედიშერ თოლორაიას ბიუროს წარმომადგენელი, ნატალია პაპასკირი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები;

**სხდომას მდივნობდა:** საკრებულოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიო ჯიქია;

**სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე;**

**სხდომა დამთავრდა: 13:20 საათზე;**

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ სხდომის მონაწილეებს მიმართა, წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ დედაქალაქში, ბუნებრივი აირის შედეგად გარდაცვლილი ადამიანების ხსოვნას, შემდეგ გააცნო მორიგი სხდომის

### დღის წესრიგი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

**მომხსენებელი:** თამუნა ჯიქია-ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“  
თავმჯდომარე

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ

**მომხსენებელი: თამუნა ჯიქია-ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“  
თავმჯდომარე**

3. „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მომხსენებელი: მამუკა წოწერია-საკრებულოს თავმჯდომარე**

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისათვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

**მომხსენებელი: მამუკა წოწერია-საკრებულოს თავმჯდომარე**

5. „ზუგდიდის მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

**მომხსენებელი: მამუკა წოწერია-საკრებულოს თავმჯდომარე**

6. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

**მომხსენებელი: მამუკა წოწერია-საკრებულოს თავმჯდომარე**

7. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენა

**მომხსენებელი: მამუკა წოწერია-საკრებულოს თავმჯდომარე**

8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

**მომხსენებელი: მამუკა წოწერია-საკრებულოს თავმჯდომარე**

9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ

**მომხსენებელი: მამუკა წოწერია-საკრებულოს თავმჯდომარე**

10. სხვადასხვა საკითხები

სხდომის თავმჯდომარე მამუკა წოწერია მ კენჭი უყარა სხდომის დღის წესრიგს

**მომხრე -31 დეპუტატი, წინააღმდეგი- არცერთი;**

**დამტკიცეს:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით;

**საკრებულომ მიიღო N6 განკარგულება (თან ერთვის)**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

**მომხსენებელმა თამუნა ჯიქიამ არნიშნა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დადგინდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (დანართი №1).

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერია მ დღის წესრიგის პირველ საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

**მომხრე -31 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი**

**დაადგინეს:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

**საკრებულომ მიიღო N5 დადგენილება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ;

**მომხსენებელმა თამუნა ჯიქიამ აღნიშნა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20

მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესი, რომლის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ეკოლოგიური წონასწორობის, ხეების ხნოვანებითი სტრუქტურის, სახეობრივი შემადგენლობისა და ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნების, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბების, კლიმატური პირობების შენარჩუნებისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებათა ჩატარებისას წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება.

## **აზრი გამოთქვას**

**კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა:** რათქმაუნდა მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა მნიშვნელოვანია ამაზე ყველა ვთანხმდებით, მაგრამ ბიუჯეტის განხილვისას საუბარი იყო იმაზე, რომ მოხდებოდა არა მხოლოდ მათი მოვლა-პატრონობა, არამედ განაშენებაც, გამომდინარე აქედან მაინტერესებს, შესაბამისი სამსახური კონკრეტულად სად გეგმავს, რომელი სკვერის და უბნების გაშენებას, ვინაიდან სამწუხაროდ გარდა ბოტანიკური ბაღისა ზუგდიდზე ვერ ვიტყვით, რომ გვაქვს მწვანე ქალაქი. აღსანიშნავია ისიც, რომ მამა მალხაზის მიერ მოხდა ისტორიული კოლხური ბზის ხეივანის გადარჩენა, რითაც მან ნამდვილად ჩაიდინა გმირობა, თუმცა დღეს აღნიშნული ბზის ხეივანი სამწუხაროდ ისევ იწყებს ხმობას, რაზედაც უნდა მოხდეს რეაგირება. ამ და სხვა მსგავსი პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა ინტერფრაქციული თანამშრომლობით შევიმუშავოთ გეგმა, დავარქვათ „მწვანე რეგლამენტი“, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება მცენარეთა მავნებლობის აღმოფხვრა და ქალაქში უფრო მეტი მწვანე ადგილების გაშენება.

**ოთარ მარშავამ აღნიშნა:** ვეთანხმები კოლეგას და მინდა გამოვეხმაურო ბზის პრობლემას, ვინაიდან აფხაზეთში მასიურად გახმა აღნიშნული მცენარე, რასთან დაკავშირებითაც არსებობს წითელი ჯვრის მიერ დაავადების გამომწვევი მიზეზების შესწავლის შედეგად დადებული მონაცემები, მე შემიძლია მათი დასკვნა მოგაწოდოთ, რომ შევძლოთ ქალაქში არსებული ბზის ხეივანის გადარჩენა.

**ზაზა პროკოპენკომ აღნიშნა:** ჩვენთან ბოტანიკური ბაღის ბაზაზე არსებობდა სანერგე მეურნეობა, რომლის აღდგენა ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია.

**ირუზა კაკავამ აღნიშნა:** მოგეხსენებათ, რომ ჩემს სოფელში, კოკი-ორსანტიის გზაზე არსებული ევკალიტების ხეივნებმა, რომლებიც წლების განმავლობაში უღრან ტყედ იყო ქცეული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დასუფთავების სამსახურის მიერ ჩატარებული სამუშაოების შემდეგ დაიბრუნა პირვანდელი სახე, რაც მისასალმებელია, თუმცა ადგილი აქვს აღნიშნულ პარკში ევკალიტების ხის უკანონო ჭრასა და გადაბეღვას, რისთვისაც კარგი იქნება დაგვეწესებინა სანქციები.

**მამუკა წოწერიამ აღნიშნა:** აღნიშნულთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს მივესალმები, ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, რომელზედაც საჭიროა ქმედითი სამუშაოების ჩატარება, რადგან

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის სხვა ალტერნატივა არ არსებობს. რაც შეეხება ხეების უკანო ჭრას, შესაბამის სამსახურს მივცემთ მითითებას, რომ მკაცრად განახორციელონ საზედამხედველო საქმიანობა.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით სხვა რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ დღის წესრიგის მეორე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

### **მომხრე -31 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი**

**დაადგინეს:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ;

### **საკრებულომ მიიღო N6 დადგენილება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

**მომხსენებელმა მამუკა წოწერიამ აღნიშნა:** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 31 იანვრის №02/943 წერილის შესაბამისად, „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტები ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

### **აზრი გამოთქვას**

**თაზო ფაცაცია აღნიშნა:** ჩემი რეკომენდაციით, აღნიშნულ ჩამონათვალში უნდა ჩავწეროთ პეტრიაშვილის ქუჩის N30 არსებული კორპუსის რეაბილიტაცია და შიდა ეზოს კეთილმოწყობა.

**მამუკა წოწერიამ აღნიშნა:** პეტრიაშვილის ქუჩასთან დაკავშირებით არსებობს ადგილობრივი წყაროები, ვგულისხმობ ამხანაგობის მხარდაჭერის პროგრამას, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია მისაღები და გასათვალისწინებელია.

**ზაზა პროკოპენკომ აღნიშნა:** მოსაწონებელ საკითხთა ნუსხაში კარგი იქნება თუ შევიტანთ სოფელ ყულიშკარის ცენტრიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

**პაატა ადამიამ აღნიშნა:** მაინტერესებს ვინ ადგენს და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით ხდება კონკრეტული ადგილის შერჩევა, რადგან ვფიქრობ, რომ უპრიანი იქნება გადაწყვეტილების მიღებამდე ვიყოთ ჩართული კრიტერიუმების შემუშავებაში და შემდეგ მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება, აქედან გამომდინარე ვითხოვ საკითხის გადადებას.

**მამუკა წოწერიამ აღნიშნა:** გადადების აუცილებლობას ვერ ვხედავ, გამომდინარე იქედან, რომ დღეს საუბარია საკითხის ირგვლივ არსებულ გეგმებზე, რომელიც უნდა იყოს მოწონებული, შემდგომში კონკრეტული ადგილის დამატება, რათქმაუნდა შესაძლებელი იქნება ცვლილებების გათვალისწინებით.

**ბესიკ ჭყეიამ აღნიშნა:** აღნიშნული საკითხი ითვალისწინებს სამწლიან გეგმას, რომელიც უნდა მოვიწონოთ. რაც შეეხება ცვლილებას ეს გამომდინარეობს იქედან, რომ ადრე მოწონებულ ამ საკითხში არ იყო გათვალისწინებული ქალაქის გარკვეული ქუჩები, ვინაიდან ამ ქუჩებში დასრულებული არ იყო წყლისა და კანალიზაციის მოწესრიგებასთან დაკავშირებით არსებული სამუშაოები. დღეს წარმოდგენილი ცვლილებები ეხება ქუჩებს, სადაც აღნიშნული კონსტრუქცია მოწესრიგებულია.

**გოგი თოდუამ აღნიშნა:** აღნიშნული საკითხი ეხება სამწლიან გეგმას, სადაც პრიორიტეტების შერჩევას მნიშვნელოვანია ჩვენი მონაწილეობა, რომ კონკრეტულად ვიცოდეთ რა ხდება და როგორ ხდება.

**ტარიელ გაბულდანიმ აღნიშნა:** ვეთანხმები კოლეგას, რომ აუცილებელია ვიყოთ ჩართულები პრიორიტეტების შერჩევაში და ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოწონებული პროექტები, რამდენად განხორციელებადი იქნება.

**მამუკა წოწერიამ აღნიშნა:** აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას, ინფრასტრუქტურის სამსახური მოგვაწვდის, რის შემდეგ დავეგმავთ სამუშაო შეხვედრას მეტი ჩართულობის თვალსაზრისით და გაძლევთ პირობას, რომ ყველა მოწონებული პროექტი იქნება განხორციელებული.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით სხვა რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ დღის წესრიგის მესამე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

**მომხრე -29 დეპუტატი, წინააღმდეგი-2 (ბათლომე შელია, პაატა ადამია).**

**გადაწყვეტის:** „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

**საკრებულომ მიიღო N7 განკარგულება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისათვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

**მომხსენებელმა მამუკა წოწერია ალნიშნა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 1 თებერვლის №02/1008 მომართვის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს ზუგდიდის მუნიციპალური ავტოპარკის განახლების მიზნით გრძელვადიანი სესხის აღების თაობაზე.

#### **აზრი გამოთქვას**

**პაატა ადამია ალნიშნა:** ალნიშნულ საკითხს მხარს დავუჭერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევიძენთ ელექტრო მობილებს.

**ბათლომე შელია ალნიშნა:** მივესალმები ალნიშნულ საკითხს და კარგია, რომ ქალაქის განვითარებაზე ფიქრობთ, მაგრამ ვეთანხმები კოლეგას, რომ ოცდამეერთე საკუნეში შესაძლებელი იყოს ქალაქის მოსახლეობა გადაადგილდებოდეს ელექტრო მობილების საშუალებით.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით სხვა რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერია დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

**მომხრე -29 დეპუტატი, წინააღმდეგი-2 (ბათლომე შელია, პაატა ადამია).**

**გადაწყვიტეს:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისათვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

**საკრებულომ მიიღო N8 განკარგულება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხი:** „ზუგდიდის მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

**მომხსენებელმა მამუკა წოწერია ალნიშნა:** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106<sup>1</sup> მუხლის, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების დანართის 81-ე და 82-ე მუხლის საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ, ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიაშვილი დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

#### **მომხრე - 31 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი**

**გადაწყვეტის:** „ზუგდიდის მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

#### **საკრებულომ მიიღო N9 განკარგულება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხი:** „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

**მომხსენებელმა მამუკა წოწერიაშვილი აღნიშნა:** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106<sup>1</sup> მუხლის, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების დანართის 81-ე და 82-ე მუხლის საფუძველზე, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიაშვილი დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

#### **მომხრე -31 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი**

**გადაწყვეტის:** „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

#### **საკრებულომ მიიღო N10 განკარგულება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენა;

**მომხსენებელმა მამუკა წოწერიაშვილი აღნიშნა:** „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N1 დადგენილების დანართის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად,



ცნობად იქნეს მიღებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის ანგარიში.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

**გადაწყვიტეს:** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

**საკრებულომ მიიღო N11 განკარგულება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მერვე საკითხი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

**მომხსენებელმა მამუკა წოწერიამ აღნიშნა:** „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N1 დადგენილების დანართის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის ანგარიშის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფს შეუწყდეს უფლებამოსილება.

დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ დღის წესრიგის მერვე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

**მომხრე - 31 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი**

**გადაწყვიტეს:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

**საკრებულომ მიიღო N12 განკარგულება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მეცხრე საკითხი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ;

**მომხსენებელმა მამუკა წოწერიამ აღნიშნა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მეორე

პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც არეგულირებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ან შენობა-ნაგებობაში გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრის, გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი საქონლის განთავსებისა და ტერიტორიის მოწყობის წესებს.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერია დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

მომხრე -29 დეპუტატი, წინააღმდეგი-2 (ბათლომე შელია, პაატა ადამია).

დაადგინეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ;

საკრებულომ მიიღო N7 დადგენილება (თან ერთვის);

სხვადასხვა

ოთარ მარშვამ აღნიშნა: რამდენიმე სოფლებში გამძაფრებული, პირუტყვის ქურდობასთან დაკავშირებით მომმართეს მოქალაქეებმა და მთხოვეს დახმარება, შესაბამისად საჭიროა აღნიშნულ საკითხს მივცეთ შესაბამისი ფორმა, რომ დაიწყოს მსვლელობა პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ბესიკ ჭყეიამ აღნიშნა: სოციალური სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით, მოგვმართეს დაზარალებულებმა, რომლებსაც ვურჩიე, რომ შემოსულიყვნენ წერილობით, შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტი გადაგზავნილ იქნა მერიაში სადაც შუამდგომლობით მიმართეს სამხარეო პროკურატურას, რომ მომხდარიყო საკითხის შესწავლა. აღნიშნულთან დაკავშირებით შეგვიძლია ვუშუამდგომლოთ დაზარალებულებს სამართალდამცავ ორგანოებთან, რომ დაინტერესდნენ საკითხით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილულ იქნა

სხდომა დახურულად გამოცხადდა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:



მამუკა წოწერია